არა, შვილებო,
თავს ვიტყუებთ,

ომი სხვა არის,
ომი სხვა არის,
ღმერთი იმში არ ჩაერევა...

და როცა ჩვენი „მოძმე ქვეყნის“
ჯარისკაცები
მოვლენ ჩვენამდე,
გვიან დამით თუ დილით სისხამ,
რომ „ერთი ღმერთის“ კურთხეული
ვცნოთ განაჩენი,
ერთმანეთისგან
და სამშობლოს ყულფისგან
გვისნან;

არ შევიმჩნიოთ იმის წინა
ნიავი ნელი,
ეს ფარატინა გაიჭრება
ჩვენზე შორს განა?!
არ გაიხედოთ,
ჩვენი ეზოს საქანელები,
უთქვენოდ, დედი, თამაშობენ
გაშეშობანას...

ჩვენს წასვლას ცხელი შოკოლადის
გემი ექნება,
თავისუფლების ასეთია
ტკბილ-მნარე ხვედრი,
ისე გვეტკბილოს,
ვერ მოვასნოთ გადაფიქრება,
აუჩქარებლად,
წვეთ-წვეთობით
ვიგემოთ, დედი...

ვერ ვნახოთ, როცა დენთის შუქი
გააჩირალდება,
მთვრალივით როგორ ბარბაცებენ
ომში სახლები
და როცა ჩვენი „მოძმე ქვეყნის“
ჯარისკაცები
მოვლენ ჩვენამდე,
პატრიებო,
ჩვენ შინ დავხვდებით!

მაგრამ თვალები,
არ დაცხუჭოთ თვალები სველი,
რომ სიცოცხლეზე დარჩნენ ბრმები
კვლავ ორსულებად,
რომ მოსულება
ნახონ თქვენი საქანელები,
თვალებში როგორ ირწევიან
დაუსრულებლად...

გეტყვით, რომ კალის ჯარისკაცი
მოგონილია,
და ნამდვილები აგროვებენ ჩვენგან
ნამტვრევებს,
დე, თმით გვითრევენ
და ნიხლითაც გადაგვივლიან,
ახია მათზე!

ვეღარაფერს ვეღარ გვატკენენ —
რომ თაბაშირის ნამტვრევები
აღარ ტირიან
(და არც არაფრის ეშინიათ),
გულჩილებივით,
ჩვენ გავიმეტებთ,
მხოლოდ ნაჭრის სათამაშოებს,
გავატანთ მათი პანაწინა
ურჩხულებისთვის...

რომ ჩვენ კი არა
იმათ მოდგმას მუდამ ახსოვდეს,
რომ მათმა მამა-„ჯარისკაცმა“,
მამა მტარვალმა,
ჩვენს ქვეყანაში მოკლა
დედა, რამდენი ბავრები,
რომ მათთვის ნაჭრის სათამაშო
ჩამოეტანა...

ჩვენ სად ვიქნებით?!
ჩემი ფრთხები ისე მძიმდება,
ვერ მოგყვებიან
დაპირებულ ალთქმულ მხარეში,
კეთილი იყოს,
დედი,
თქვენი გამოღვიძება
უფლის კალთაში,
ომების და დედის გარეშე...

ჩვენ შინ დავრჩებით!

27 სეატემპერი

და მაინც,
ეს დღე
გამახსენებს
ჩვენს წილ დაცემას

(როცა საკუთარს ვაჭედებდით,
კიდურებს, ჯვარზე),
გილოცავ,
მიწავ,
მოკვეთილო,
ჯვართამალებას,
ჩვენ ერთმანეთი
დავამარცხეთ, —
ჩვენ გავიმარჯვეთ...

* * *

რა შეუძლია ამ სიყვარულს,
აღარ ვართ მრევლი
მისი ტაძრის და
სანთლებივით აღარ
ვკანკალებთ,
ვერ გაბრნეინდება
ოლარივით,
ვერ გამრავლდება,
როგორც დღის შუქი,
ზღვაში თევზი,
ცაში ვარსკვლავი...

რა ეშველება, —
გაჭრილია მისი სამარე, —
(თუმც ჰაერივით შეუძლია
ყველგან მყოფობა)
და მინც ვიცით,
არსად მისი სახლი არ არის,
მაინც უდაბნოს მინასავით
უნაყოფოა...

ყველა შიშისგან დაცლილია
მისი საცავი
და გამარჯვების ნიშნად,
მთელის კრებს ნაფლოთებსადა,
გატკბილდა თითქოს ძველისძველი შხამი
და მინც,
ამ გაზაფხულის ბოლო ნაღმზეც
ვერ აფეთქდება...

გადახდილი აქვს ცრემლით
ყველა გადასახადი,
სვა სიფხიზლისგან დასახსნელი
აბი საძილე,
უშფოთველია, ვით მძინარე
მზეთუნახავი,
უკანასკენელი ამბორიც ვერ
გამოაღვიძება...

ვეღარ ჩაუდგამს სულს გრიგალიც,
მისი ცვილის ფრთხებს
ვერც მზე გადაბობს,
ვეღარც სუსხი გასტეხს დროისა,
მოურველი, არის როგორც
ბავშვის სიცილი
უცებ წკრიალით გაფანტული
დიდი გლოვისას...

— შენ ახლა გრამიც სიფხიზლის ვერ
მოგეკარება
და აგაქვს კენჭის სიმსუპუქით
ლოდი სიზიფეს,
შენ მშვიდი ძილის
მოიპოვე რადგან უფლება,
მშვიდობით იყავ, სიყვარულო,
ტკბილად იძინე...

* * *

რა კეთილი ხარ, იმედო, ფუჭო,
რა ნამდვილივით ხელშესახები.
მე თვალებს ვახელ,
შენ თვალებს სუჭავ,
თვალისულულს მაინც არ
მენახები...

ვშიშობ, ერთ დღესაც მკაცრი იერით,
სამალავიდან გამოხვალ მტრული,
უძრავ ამინდში
მაინც წამიერ
ამოვარდნილი ქარივით
ტყუი...

უახლოვდები სიფხიზლით შველის

გულს, შემზადებულს მუდამ საძილე

და თან მდევ სიკვდილ-

სიცოცხლეს შორის

ყველაზე უფრო მერყევ

მანძილზე...

გაგორებულო მზის გორგალივით,
წყვდიადის თვალო და მნათის მძივო,

ოლონდ სულ სადმე

მეგულებოდე,

ოლონდ ერთ დღესაც არ

ჩაგეძინოს...



სოფიო ლლონტი

ველის შროშანებს შევავლე მზერა,
თავბრუდამშვევი მომედო უინი.
მსურს, განახლების დიადი ერა
დადგეს, დაეხსნას ბოთლიდან ჯინი.
მეც განახლების დამიდგეს უამი,
ფერებ-ფერებით გაეუყვე ბილიკა,
დილით შროშანებს დავდანდე ნამად,
ლამით მდინარის შევერწყა ლივლივს...
რა სურს ქარს ნეტავ, რას ფიქრობს იგი?
აფორიაქებს, რომ არხევს შროშანს?
მსურს, გადაგშალო, ვითარცა წიგნი,
ბოლო გვერდიდან, რომელიც შორს ჩანს...
თუმცა ველია, მეც ველი, ველი...
გაზაფულს, ცრემლადგადმოლვრილ სისხამს,
ო, რაბი, შენ ხარ შროშანთა მცველი,
მათი მოშურნე გველების რისხვა...
ველის შროშანებს შევავლე თვალი,
მეც განახლების მომინდა როკავა,
ფიქრი აღარ მაქვს მომავლის, ხვალის,
ურნმუნოების ვამსხვრი კოკა...

ქვირვასო „მასტერ“!

მთვარის პორტრეტზე შეგნიშნე წუხელ,
მერთალი ხაზებით ავლებდი შენს ლანდს,
ჩემის საძულოს ვერავს უშმხელ,
მხოლოდ შენ გესმის და მხოლოდ ვოლანდს.
ჩემი სიგიურის მიზეზებს ხედავ
ამ სკაპტიკოსი პოეტის თავით,
მოკეეთილი ვარ ცხოვრების ხიდან
და ამ კედლებმაც გამხადეს ავად...
ავად ვარ, ავად, მეახლე, მოდი,
ვგრძნობ მარგარიტა ამბორის ძალას,
ის, რასაც მაშინ აქ მიაბობდო,
მიმბე ისევ, ნუ დამიმალავ...
საფიქრალს ისევ ვისევ და ვისევ,
პილატეს ირგვლივ ვნრიალებ, ვპორგავ
და იეჟუას უცოდეველ სისხლზე
რჩმენის თესლს ჩავყრი და მერე მოვრგავ...
ძლიერ ცივია საკანი ჩემი,
ძილი გამტყდარი, პილატეს მსგავსად,
მთვარის სხივს გაპყვა სხვა დანარჩენი,
რაც რამ გამაჩნდა, დევს გულზე ხავსად...
და მეშინია სიჩუმის ახლა,
შავი კატის ხმას გავურბი, ვუფრთხი,
რომ ჩემს ბერს ზეთის სურნელი ახლას
და ბრძოს ურნმუნ განბანველ ფურთხით
ვინინდავ თვალებს, პანოცრის დარად
და პონტოელი პილატეს ბედზე,
გაუშვებ აღათ, პილატეს, აღათ...
და არ დატოვებ იუდას ხეზე,
მთვარის სხივებზე შეგნიშნე წუხელ,
დარდი არ გქონდა ცისა და მინის,
რადგან გაიგე და უკვე იცი,
ხელნაწერები არასდროს ინკის...

ლილიტი

ო, ადამ, როგორი მლვრიე და მდორე ხარ,
არასდროს, ვერასდროს აპიჯებ ჯებირებს,
არ ცურავ დინების სანინაალმდეგოდ...
შენ „მკვდარი თევზი“ ხარ
და მკვდარი უკუნი,
რომელსაც არ უკვირს ედემის მშვენება, წალკოტი,
მდინარის ჩემები, ჩემები, ჩემები და მთის პანორამა.
ფრინველთა სიმღერა სისხამზე და ცქერა,
თუ როგორ იქსება ედემი,
რომელიც არც არასოდეს ყოფილა შიშველი,
— შიშველი ჩემენავით...
სიშველე ეს ჩენენთვისა ბუნებრივი,
ჩემთვეს და შენივის, ასეთად შეგვემნეს...
ნეტავ რა შემიძლია ჩავიდინო,
რომ კვლავ აღგაგზნოს ჩემმა სიშველემ
და განგაცდევნოს ნეტარი წუთები,
როგორც მაშინ, თავდაპირველად...
შენ ჩემი წყალობით დაგერქვა ადამი...
შენ ჩემი წყალობით გაიგე, რომ თურმე ხარ კაცი
და არა „თავი ქალისა“,
როგორც მას უნდოდა, მთავარს...

...და გაგრძნობინე ისე, როგორც ეს ენადა ლილიტს...
გახსოვს, ჩემი ვნების ქარცეცხლით გაბრუებულს,
რომ გამოგაცალე შენი აღმატებულვაცობა
და ნეტარცული ჩინი გაბრუებულმა,
ვინც თავად მინოდე — „ქალღმერთი,
ჯადოქარ-გრძნეული“?

სხეულზემორგებულ როკვით, გახელებით...

როცა შეგიტყვუ საოცარ სამყაროში,

რომლითაც შენ ასე მოიხიბლე და ამყევი,

მაგრამ თან გძლია შიშმა და

კვლავ დაგაბრუნა ყოფიერებაში...

შენ გძლია რწმენამ, გძლია თმენამ

და გძლია ადამ იანობამ...

რომელიც თითქოსდა იმარჯვებს ვნებებზე,

ქალზეც კი... მაგრამ ვერ იმარჯვებს ლილტზე...

რადგანაც არა იქ ჩემი ადგილი,

სადაც კანონიკა და კანონებია... სადაც შიშებია...

დააკვირდი,

საკუთარ სახელებს როგორ ვამართლებთ,

ადამ? განა ეს შემთხვევითია?

მდორე ხარ... უძრავი... იცი?

თავად გავაგნებ გზას ედემის ბაღიდან...

ანით ჰიემდე — გემშვიდობები...

იქნებ ყოფიერებით დაღლილს მოგენატრო,

ილკნებო ჩემზე, ჩემთვის ესეც საკმარისია...

ეს ბაღი ჩემთვის არაა, ადამ...

შემოსაზღვრულს არ სცნობს ლილიტი...

ზღვის ქაფისკენ მიმინევს გული,

ჩემსავით მგზნებარე ზღვის სარკეში,

ჰა, კარგო...

და ერთი სული მაქვს, მასში გადავეშვა,

რომ თავი დავკარგო...

მე ლილიტი ვარ, ლი ლი ტი...


მივიღლუ, მივიღლუ... მივიღლუ...

თავისუფლებისკენ მივიღლუ, რადგან...

მიქეალ, გამიღე, გამიღე ჭიშკარი,

მშვიდობით, ადამ...

და გამოვიჩინე მინატკეპნილი პალატინაში სახლის კუთხეში



ბაღი სულაძე

კათმახთან მოლაპარაკი

მამა რომ წითელი მამალივით შესწირეს საყდარს,
ჩაევლო ზამთარს და არ იცოდა, ორსულად რომ
დარჩა მეუღლე — რომელსაც თურმე თავზარს სცემდა

სისხლნაკლულობა და ნატრულობდა,

კვერცხუჯრედშივე გავწყალებოდი...

და რადგან უკვე კვერცხუჯრედშიც

აღარ დარჩა ჩემი ადგილი,

კვერცხის ნაჭუჭის

მკვრივი ფენა

გამოვაძტვრიე

და გამოვიჩინე მინატკეპნილი

პალატინაში სახლის კუთხეში

მიღდმულ ტახტზე —

ზედ რომ წვრილ-წვრილად განენილი

ჩალით სავსე ტომრები ეგო...

და ის სანოლი ტახტზე მეტად,

საბუდარს ჰგავდა,

საიდანაც დღენაკლული გადმოვწიდი

და მინატეც გავძედე დგომა...

გარეთ კი ჭირის თავთავებით

სავსე კალი ილენებოდა და ვერ შეგძლი თავნართმევი

ნამჯის გარდა რამე მეკენა, ორ დასთან ერთად,

ერთმანეთს რომ ვერ ვერჩეოდით

და გვადარებდნენ ქორისაგან

დამფრთხოები წინილებს...

მაგრამ წინინვე არც გამჩენი არ გვინუვლია,

რადგან ვიცოდით, მცირე ცოდნის მიუხედავად,

წყალსაც რომ ვსვამდით,

მუდამ ცისთვის უნდა გვეცქირა...

და ცაც გაიხსნა, მაშინ მაინც ასე მეგონა,

როცა გავთხოდი,

ჩემმა კაცმა რომ წამიყვანა,

ქორისთვალებამ, — თუმცალა

მალე დავინახე, რომ წისქილის ქვა მარტო ჩემს თავზე

არ ტრალებდა... თუმცალა ხშირად უნდილ ყურძნესაც

ჩიტებივით გამიკვენავდით, ბედს დავმორჩილდით

და ორივემ მოკინწყვეტი ბუდე,

ძველ საბუდარზე...

უფრო პატარა... —

რა გვერცხებოდა —

შვიდად გაგვყვევს, შვიდად დაგვშალეს...

რა გვერცხებოდა, გარდა ჭიქა ღვინით დალოცვის...

და გვედგა თავზ



პატრი სულაძე

გაფაციცებით ვაკვირდები საყდრის კონტურებს,
ნისლი რომ ფარავს, იმ ნისლივით სძუმან ზარებიც, —
და შეკითხვებზე პასუხისას თავს ვიკატუნებ,
თითქოს ყველაფერს დრო მკარნახობს
დაუზარებლად, —
თანაც ჯიუტად ვიმეორებ სხვების ნამბობს,
არადა, აზრი წრფეზე მეტად, უფრო — წრენირს ჰგავს,
და ზეცის გუმბათს ფიქრი,
თუნდაც ცრემლით ნალბობი,
საანგელოზო მამალივით
მსურს რომ შევწირო...
სულ სხვა აზარტით ვზომავ მანძილს მზიდან ქარამდის,
გასასაზრებლად ერთი ბერები რომ არ გამომრჩეს, —
და ვერ ვიჯერებ, რომ ღრუბლების უგრძეს ქარავანს,
ტყუილად ვსდიე და სირბილში
დღოსაც ჩამოვრჩი...
საანთლის ნალვენთიც იმ ბობოქარ ფერთა ნაშთია,
საყდრის კედლებიც რომ ვერ იტევს წლების ნიაღვარს...
ამ სამყაროში რაც ასაფრენ ფრთებად გაშლილა,
სუყველა — დროის დადგენილი
წესის მიღმაა...

ჭანჭურის ხეზე გამეფდა ფერი
თოვლის სითეთრით ანთებულ ხედის, —
როცა ფიქრებად ღამენათევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
ხიდან...
ვით მორდვეული ჟამის თერქები,
თოვლის მიმართაც ბევრის მკადრებნი,
მოურიდებელ ჟინით ექებნენ,
დაკარგულ მინას — სველ
ნისკარტებით....
ექებნ ხორბლის დაკარგულ მარცვლებს,
ზეცაც ღრუბლით რომ უკმევს უცწრად,
და პოულობენ ფქვილივით გაცრილს
მას, რაც უფლისგან უკვე მიეცათ...
ფორიაქობენ სრულ სითეთრეში,
გადმოსულები მინაზე ციფან, —
რაც ჟამთა ქროლვის
პირნათელ რაშთან
გადამტერების
მეტადრე
ცდა...
დაკარგულ სივრცეს რად უნდა ძებნა,
რთულად შესაცნობ ხმით და კრიახით,
როცა ცისგანაც იხსნება გზები,
კართან მომდგარი უფლის
კარნახით...

უნდა წავშალო რეზიც და მწავნეც,
გზა უნდა დათმოს შავგაც, ყვითელმაც
რადგან ყოველთვის მადლივით მნამდა
სამყაროს თეთრად

გადაფიორებაც...
როცა ფიქრებად ღამენათვევი,
ჩამოფრთხიალდნენ ქათმები
სიდან, —
ჭანჭურის ხეზე გამეფდა ფერ

მეგონა, ცოტას გიშველიდი,
სისხლს რომ გისხამდი,
ქარში რომ ეგდონ დაძენბილი
მიღლის თაგვალი,
მაგრამ მთიდანაც აიკრიფა
სითბოს მისხალი. —

და ცისკრის ყველა ნაკვალევი
თოვლმა ნაშალა...
ცანაზამთრალზე,
გაზაფხული როცა შემოვა,
სიცივის ლაშქარს ის მოუგებს
ისევ ყველა ომს,
შენ კი დარჩები — გადარჩენილ
ცოცხალ მეომრად,
მაინც რომ ზამთრის ღამესავი
იყოლყოლაო...

* * *

როთმებისა რთველსაც კი შევბედე,
შევირგე გულების საწოვრით, —
ზოგჯერ კი სათქმელიც შედედდა,
ქილებში რომ იცის მანონბა...
ფრაზებსაც ზამთრისთვის ვინახავ,
კომშის და ალუბლის მურაბად;
ფიქრსაც რომ გადავკრავ ორნახადს,
ვიცი რომ — ვუშველი
ურაგანს...
სანამ თოვლს ჩამოყრის, დავდივარ,
ფოთლებსაც გავქექავ ხელჯოხით,
თორებ ამ სამყაროს დარდიანს,
ულექსოდ სადამდე ვეყოფი...
ლექსებს მე ჰაერზე კი არ ვწერ,
ფილტვებით სახლში რომ მიმტონდეს;
ჩიტების ნისკარტით მინანერს,
ხეებზე ვკითხულობ
სტრიქონებს...

* * *

მოისხეს მხრებზე
მთებმა თოვლის თეთრი ქათიბი,
ზეცას რომ დამით შეუკერავს სახელდახელოდ, —
და გეფიტრება, ალბათ სულშიც მკვეთრად დაობება,
დარდს რომ ვერ მაღავ,
თვალებივით ფართოდ გახელილ...
თოვლის ქუდები დაიხურეს სახურავებმაც
და სახლებს თითქოს პოდიუმზე უჩევდეთ გასვლა, —
სულ აღარ ახსოვთ გაცრეცილი ცა ნუხანდელი,
მონატრების და მარტოობის უწყვეტი ვალსით...

* * *

თოვლის ამდილანდელ გამოჩენას,
გული სხვანაირად უკრ ვუწევნე, —
და გზაც მთასავით რომ ნაოჭდება,
ან ცა რას დატოვებს
შეუმჩნეველს...
ახლა, როცა სახლიც თავს მაპეზრე
როგორც უფერული თავის სორო,
ბედმა თოვლის თეთრად განაცრელ
მინდა, გუნდასავით
გამისროლოს, —
ცეცხლიც მომექალოს სიზმარისა,
შენი თვალებით რომ ნაისრია...
გუნდის სროლას რაღაც მიზანი აქვ
გუნდას ტყუილად ხომ
არ ისვრიან...

* * *

ჭავეთა პატარასა, დაინინებას რომ ვერ ახერხებს,
დიღი თამაშით დაქანცულს რომ წრიალი თანგაეს...
ფუცარნაგისგან დარჩენილა მხოლოდ ნახერხი
და კულისებში გულსაკლავად
წრიპინებს თაგვი...
ცრუ დამეტბმაც დეტისმეტად გადაამლაშეს
და დაამსგავსეს ზეცა — თვალებს, სევდით გალეშილს...
უსაბურია ყველა როლი, ყველა თამაში,
როცა დიდები თამაშობენ
სცენის გარეშე...
თიხის უსახო თოვლინებად გამოძერნილებს,
ვერც „სამაიას“ ცეკვას უქებ —
ცრემლის სისველით, —
როცა აზრისგან ჯერდაუსმელ ყველა წერტილში
გრძელ ნაწნავებად გარდასახულ გველის გისევინ...

ცრუ დამეტებაც მეტისმეტად გადაამლაშეს
და დაამსგავსეს ზეცა — თვალებს, სევდით გალეშილს...
უსახურია ყველა როლი, ყველა თამაში,
როცა დიდები თამაშობენ
სცენის გარეშე...

* * *

ნიბილები ოომ დავითვალი
საშემოდგომოდ, — მამაჩემი როგორც ითვლიდა...
ითვლიდა მწყობრად, მიყოლებით, ქვევიდან ზევით,
თავისი დათვლით ასწლამდე რომ უნდა ეცოცხლა...
მერე კი, მასაც აერია სათვალავი და
არა თავიდან, სულ ბოლოდან
დაიწყო დათვლა...
და ასის ნაცვლად
უფრო ქვევით
მონიშნა
არე...
კვლავ ვითვლი ზარებსა,
თუ რამდენჯერ მირეეავენ სამსახურიდან,
რომელილაცა სახლის საკეტზე
აწყვეტილი ლუქსი გულისთვის
და მენატრება ხმების დათვლა იმ ზარებისა,
საბალახოზე გასადენ ხბოებს
რომ ჩამოჰკიდეს და მეც გუსმენდი, მაყვლისა,
თუ სოკოს კრეფისას...
კვლავ ვითვლი ნივთებს სამსახურში,
გაზუსტებ ნომრებს და მიკვირს,
რატომ გამიგრძელდა დათვლის პროცესი,
როცა სკოლაში ვერ ვიტანდი
მათემატიკას... ამ თემატიკას ემატება „კატაპარიას“
ნაყენის ის მოტკებო წვეტები, რომელსაც ვითვლი,
კატასავით რომ გავიტრუნო, ხის მომცრო ტახტზე
მოკუნტული როცა მივწვება...და აღარც მახსოვს
ის ფრაზები, სახლის კედლებს რომ მიგანერე,
რომელილაც ლექსის
სტრიქონად...

უცებ, თითქოსდა — გზაც იწყება ცისკრისეული
და მახსენდება მზით გამოთხარი მიწის რვეული,
დილის ხამივით რომ ბრწყინავდნენ მასში სიტყვები,
ჩიტების ენით, წყაროს ბეგრით ნაკარახევი, —
ვითვლიდი ვარსკვლავთ, კვლავ იმისდა მიუხედავად,
გამიჩნდებოდნენ მეჭებები თუ არა ხელზე...
ვითვლიდი დღეებს, იმ პირველი თოვლის მოსვლამდე,
გუნდაობაზე უფრო მეტად რომ მახარებდა
ძაფმოქერილი ქალალდებით თავწაკრული
მურაბაძის სამართლო ახსნა

და ახლაც, ნათლად მახსენდება, როგორ ვსაზავდი
დარჩენილ დღეებს — კალენდარზე, ჯარში ყოფნისას,
დედის იმ სიტბოს მონატრებული, ნაუცდათევად
თითებს შეუ რომ გაილია, დარდით ნალოკი
ჭვრიალილივათ. —

და ზღვრად მიტცია წლებშემცბარი დედის ასაკი;
მეც რომ გავქვავდი, ყველა სიტყვა რაკი გამიშრა,
გასანთლულ თითებს შერჩენილი ბოლო
ცრემლივით...
ბედსშეჩენილი მონდომებით
ვაგრძელებდი ჯიუტად დათვლას —
გულების ფეხვის, ფეხების,
თუ ხელების ქნევის, — მომავალი
დედის მუცლიდან,
მეც რომ სიცოცხლის დიდ მეხოტბედ
უნდა ვექციო და
მერე იქნებ სათვალავი მეც ამრეოდა, —
მამაჩემივით... სახლის კედლებსაც ლაქასავით
რომ შერჩებოდა, დალლილობისგან —

ჯერაც ლექსებში ვერჩასმული
მოკლე ფრაზები...
ზოგჯერ ვპრაზდები,
 მაგრამ ჯავრსაც დათვლაში ვატევ,
სიმინდის ფქვილის მოზელვისას,
 ან ფელამუშის მოდულებისას,
წალმა-უკულმა მორევის დროს, ბუყბუყით, ფშვინვით...
შემოვა შინდიც და
 დავითვლი ჩამავალი მზის სიწითლეში
ჩამტკპარ მურაბებს...
 დავითვლი, რამდენ გულის ნადებს
ვუწილადებ მტერს და მოყვარეს, რომ მზე და შინდი
სულ უყვარდეთ სიცოცხლესავით, —
 რომ დარდისაგან
შეფაკლული დღეების ნაცვლად, მზე დავითვალო
ზეცისხელა ლიმილიანი, — განამდე, სანამ თვითონ
უფალი არ დამითვლის დარჩენილ დღეებს...
დიდიხანია, დედჩჩემის ასაკს
გადავ(გდი)...



მისუძუ კანეკო

ყოფანობის ჩარი

აყვავებულა ოსმანთუსი — ზეთის ხე თეთრად,
მოტკბო სურნელით საცხეა არე.
ქარი შეყოვნდა ბაღის კართან,
არ იცის, რა ქნას,
იქნებ, შესვლას კართან დგომა სჯობს?

ვეშაპის პანაზილი

გაზაფხულის დასასრულისკენ
ვეშაპების პანაზილი იმართება აქ,
როცა ზღვებში მფრინავი თევზის მოხელვას ვიწყებთ.
სანაპიროზე ტარებიდან ზარების რეკვა მოისმის და
ქარი ფარგავს ხმებს სივრცეებში, სივრცე ხმებს იტევს.
ჰარებით იმსებიან ჩვენი სოფლის მეთევზები,
და როდესაც მიიჩნევთ ლოცვებზე ტარდად,
სწორედ მაშინ ზღვაში ერთი ჩვილი ვეშაპი
ზარების ხმაზე
ზღვის სილრმიდან ლურჯ ტალღებს აძრავს.
იხსენებს თავის დაღუპულ მშობლებს.
მწარედ სლუკუნებს:
„მენატრებით, მენატრებით,
საით ხართ ნეტა?“ — მიატირებს ფსერთა უკუნეთს.
ზარების ექმ ზღვების ზედაპირს გადაევლება,
ეფინება სივრცეებს
ლამის ქვეყნიერების დასასრულამდე...

ფუტკარი და ღმერთი

ყვავილის გულში — ფუტკარი,
ყვავილი — ბაღის გულში,
ბაღს ზღუდედ გალავანი აქვა,
თვალებს ცქერას რომ უშლის.
ზღუდე — ქალაქის გულშია,
ქალაქი — ქვეყნის გულში,
ქვეყანა — მსოფლიოშია,
მსოფლიო — სამყაროში.
სამყაროს კი, სულ იოლად
იპოვით ღმერთის გულში!

ეს ნიშნავს, ღმერთი ეტევა —
პანია მწერის გულში!

სინათლისკან!

სინათლისკენ!
სინათლისკენ!

ყველა ლერით, ბწვალით
სვით სინათლის წყალი!

სინათლისკენ!
სინათლისკენ!

შენც, პატარა ბაღახო,
ბუჩქმა არ დაგაგლახოს!
სხივებს მოსდე ჭანგი,
სინათლისკენ ნაღი!

პოეტი მისუძუ კანეკო 1903 წლის 11 აპრილს დაიბადა იაპონიაში, მეთევზეთა დაბა სენდაკიში, რომელიც დღე-ისთვის ქალაქ ნაიატოს შემადგენლობაში შედის.

მას და მის ძმას პატარებს გარდაცვალათ მამა და ბიძის იჯახის მეურვეობით იზრდებოდნენ. გოგონა სნავ-ლისადმი დიდ ინტერესს იჩენდა და პატარაობიდან წერდა კიდეც. „უცნაური, გულჩათხობილი გოგონა, რომელ-საც ძალიან უყვარდა კითხვა“ — ასეთს იხსენებენ მას. მისუძუ კანეკო ლექსებს ბავშვობის ასაკიდან თხზავდა. მისი ხუთი ლექსი პირველად გამოქვეყნდა 1923 წელს, მათ შორის მისი საბავშვო პოეზიის ერთგვარი სავიზო ბარათი, „ილბლიანი თევზაობა“. იმხანად გამომავალი თხი იაპონეური საბავშვო უურნალი აგრძელებდა კანეკო მისუძუს ლექსების ბეჭდვას. მომდევნო ხუთ წელინადში პოეტის 51 ლექსი გამოქვეყნდა. შეაფასეს კიდეც, როგორც „ახალგედა იაპონელ საბავშვო პოეტებს შორის კველაზე დიდი ვარსკვლავი“.

1926 წელს ბიძამ და დედამ გოგონა მისი ნების სანინაალმდევგოდ გაათხოვეს. ოჯახური თანაცხოვრება ტრაგიკული აღმოჩნდა და 26 წლის ასაკში სუიციდით დაასრულა სიცოცხლე. ძმას დაუტოვა სამმოზრდილ რეველ-ში თავისისავე ხელით ჩატროლი 512 ლექსი.

პოეტის სიკვდილის შემდეგ მაღვევე იაპონიაში მილიტარისტულ-რეაქციული დრო დამკვიდრდა და კარგა ხანი არასახარბიერო პერიოდი დადგა იაპონეური კულტურისა და ლიტერატურისთვის. პოეტის სახელიც დავიწყებას მიეცა.

პოეტის გარდაცვალებიდან თითქმის ორმოციოდე ნლის თავზე მის ერთ ლექსს ძეველ საბავშვო უურნანალში გადააწყდა ახალგაზრდა 19 წლის იაპონელი პოეტი სეცური იასაკი. ახალგაზრდა კაცზე ამ ლექსმა, „ილბლიანი თევზაობა“, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ინტერესი აღუდრა გასცნობდა კანეკო მისუძუს შემოქმედებას. სამწუხაროო, ვერსად მიაკვლია მის ნანერებს. დაინტერესობდა მოძიება. 16 წელი მოანდომა ძებნას და მხოლოდ 1982 წელს იპოვა იმხანად ტოკიოში მცხოვრები კანეკო მისუძუს ძმა, ვისთანაც ინახებოდა ხელანერი სამივე რვეული და საოჯახო ფოტოები. 1984 წელს კი ერთ-ერთმა გამომცემლობამ გამოსცა ამ სამ ხელანერ რვეულში არსებული ლექსების საცუდველზე მისუძუ კანეკოს პოეზიის ექვსტომებული.

სუცური იაძაგიმ იმაზეც იზრუნა, რომ იმ ნიგნის მაღაზიაში, საფაც კანეკო მუშაობდა ახალგაზრდობაში, მისი მემორიალური მუზეუმი გახსნილიყო. ექვსტომებულის გამოქვეყნების შემდეგ კანეკო მისუძუ ხელახლა აღმოჩნდა იაპონელმა ხალხმა, შეიყვარა ის, უამრავი სიმღერა შეიქმნა მელოდიურ ლექსებზე, გადაიღეს ბოგრაფიული ფილმიც მის ცხოვრებაზე, თარგმნეს არაერთ ენაზე, დაბეჭდეს სახელობითი მარკა, გაიხსნა მისი სახელობის პარკები, დაიღვა ქანდაკებები, მემორიალური ძეგლები, შევიდა სასნავლო პროვინციები, ალინიშნა 115 წლის იუბილე და სხვა და სხვა... დღეს ის მსოფლიოში აღიარებული იაპონელი პოეტია, რომლის ლექსები არაერთ ქვეყანაში გამოიდის მრავალეუროვანი კრებულებისა და საბავშვო წიგნების სახით. მისუძუ კანეკოს საერთაშორისო აღიარებას ადასტურებს 2009 წელს გაერთოს ევიდით ჩატარებული „მრგვალი მაგიდა“, რომლის თემა იყო ქალთა როლი და მნიშვნელობა იაპონეურ კულტურაში, მათი მიღწეულის შემოქმედებას, ცხოვრებას, მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის ნარმოჩნდას იაპონეური კულტურისა და ლიტერატურის განვითარებაში.

მისუძუ კანეკოს პოეზია განმარტებულია დიდი ჰუმანიზმით, ემათიით ბუნებისა და ადამიანებისადმი. სრულიად ახალგაზრდა ავტორმა შეძლო, თავისი ფაქტი სულითა და კველებანმედველი გულისა და გონების თვალით ეჭირისუფლა სამყაროსთვის, გაემხნევებინა და თანაგრძობა გამოეხატა კველაფრის მიმართ...

მისი პოეზია ეკუთვნის არა მხოლოდ ბავშვებს. ესაა ფაქტი, დახვეწილი, გამჭვირვალე, მაღალესთეტური პოეტური სამყარო, რომელსაც თანაბარი სამოვნებით კითხულის დღეს კველა ასაკის მკითხველი.

აპრილში მისუძუ კანეკოს 120 წელი შეუსრულდა. მისი შემოქმედებით ლიტერატურათმცოდნე ნანა კუციას მეშვეობით დავინტერესდი. მისუძუ კანეკო პირველად ითარგმნა ქართულად. მაღლობას ვუხდი იაპონელ ენათ-მეცნიერსა და მთარგმნელს, ბატონ იასაჭურო კოჯიმას, რომელიც ბრნინივალედ ფლობს ქართულ ენას, ჩემი თარგმანის რედაქტორების ისეთი სიმარტის შემდეგ „სეზანფაბლიშინგისგან“.

და თქვენც, დამის მწერებო, აიქნიეთ ფრთები, რომც დაგენწვათ, მაინც
გასწიოთ ცეცხლის გზებით!

სინათლისკენ!
სინათლისკენ!

მზეს მოუხმეთ საშველად ქალაქელმა ბავშვებმა!
გაეჩქარეთ, სადაც
სივრცე გელით ისეთი, სინათლე რომ ატანს!

შარშადელი ხელი

გახედე, გახედე,
ახალწლის სისხამზე
ფერადი ალმის წილ შავ აფრას შლის ნავი,
ნავსადგურს შორდება.

ვის გაპყავს,
ვის გაპყავს ზღვის წყლებში ის ნავი
ახალწლის პირველ დღეს?

არ ვცდები, მე მგონი — მარშანდელ წელინადს.

საითკენ მიცურავს?
სულ წინ, წინ მიინევს.
ნეტავ თუ სადმეა ნასული
ნლებისთვის ნაესაცუდელები?

მასაც თუ ელიან?

გახედე, არ ვცდები, ჩავლილი წელია —
მას ეხედავ თვალნათლივი, ახალწლის პირველ დღეს,
შავიალენიანი ნავით რომ მიცურავს
და ჩრდილიც სულ უფრო და უფრო გვშორდება,
დასავლებისაკე...

მე, ჩიტი და ზანზალაკი

ხელები რომც ავიქნიო,
ვერ ავფრინდები მაღლა.
ცაში ჩიტი ფრენს, მე მინდორს
გვირბენ მასზე სწრაფად.

ნიავზე ტანიც ვარხიო,
ხმას ვერ გამოვცემ ზარის.
ის ჩემს სიმღერებს ვერ იტყვის,
თუმც ინკრიალებს ქარით.

მე, ჩიტი და ზანზალაკი —
განსხვავებულნი ბევრად,
ერთმანეთს როდი ვუნუნებთ ხასიათსა და ენას!?

დაღებული თოვლი

თოვლის თეთრი
ზედაპირი
ცივი მთვარის ცივ ნათელში გაყინულა, ბზინავს.

ძირს, სიღრმეში
წვალობს თოვლი,
ნაფეხურებს უქცევიათ ის მინიან ფინად.

შუა თოვლი
ვერც მინას გრძნობს, ვერც ცას ხედავს,
თეთრი გული სტკივა...

იღგლიანი თევზაობა

თენდება.
დარიან დილას
თევზი მოჰყვება ბადეს,
ვერცხლ

ვიცი, ბოლოს რომ მეც ეგ მომწყვეტს,
ვცნობ მის ლამაზ ხელს.

ნამი

არავის ვეტყვი, რაც ვნახე დილით,
ბალის კუთხეში ყვავილის ტირილს
მოვკარი თვალი.
არ მინდა მისწყდეს ფუტკრის ყურს, თორემ
ვიცი, რომ ისიც უამბობს ტოლებს
და უკან მოვლენ
შენუტყვულნი, მობოდიშებით
დააპრუნებენ თაფლსა და ნექტარს.

იალქები

ნაგაუყდელში ძველი აფრები თვლემენ,
ჩაბინდულები შავად.
თეთრად ბრწყინავენ ის იალქები მხოლოდ,
სივრცეებში რომ ჩანან.

არ აკითხავენ თეთრი გემები ნაპირს,
შორ წყლებს სერავენ სწრაფად,
ცის და ზღვის შუა, სადაც სითვივით მოსჩანს
გზები ვერცხლისფერ ძაფად.
უცხო მარეთა ქარებისაგან ფრიალს
მიელტვის ყველა თეთრად ელვარე აფრა.

თევზები

მებრალებიან თევზები ზღვისა.

რას აღარ უვლის ადამიანი:
ბრინჯის ყანებს ამოზრდის კვლებად,
საბალახოდ გაიდენის ძროხების ნახირს,
ტბორის კობრს კვებავს.

ზღვის თევზებზე კი არასდროს ზრუნავს,
არც საკვებს აჭმევს, არც წამლით კურნავს.

არაფერს ჩივის, უწყინარია ზღვის თევზი, უხმო.
თუმც ერთი მაინც უნდა შევჭამო სადილზე, უფხოდ.

მებრალებიან თევზები ზღვისა.

ვარსკვლავები და გაგუანვერა

ლამის მოსცლამდე ჩაძირულები
ლურჯ სილრმებში, ცის თალის უკან,
ვით ოევანის ფსკერზე კენჭები.
ვინ გრძნობს უხილავ ვარსკვლავთა სუნთქვას?
მზის სინათლეში შეუმჩნევლების
ხმა, ჩამიჩუმი არსაით ისმის.
უჩინარები არიან დღისით.

უხილავი სხეულებიც არსებობს ირგვლივ.

ბაბუანვერას ჩამომჭენარ თესლსაც,
კრამიტების ქვეშ შეყუულს ყუჩად,
წიბოთა ღარში მიყრილებს მტევნად,
თვალსაც ვერ მოჰკრავ, ფესვიც არ უჩანთ.
გაზაფხულამდე ძლებენ უჩინრად,
სიცოცხლე სულის ღივით უჭირავთ.

უხილავი სხეულებიც არსებობს ირგვლივ.

მეყვავილე ქალაქისკენ გაეშურა,

განა სტუმრად?
იქ გაყიდა ყვავილები, უხმოდ, ჩუმად.

რასაც თავზე ევლებოდა, შეჰეროდა, იგი დათმო.
ეს საბრალო მარტოხელა
მეყვავილე ახლა დარდობს,

და მზის ჩასვლას შინ ეული ეგებება,
თავის ქოხში.
ერთადერთი ეს ოცნება დარჩა ახლა —
ბედნიერი რომ გახადოს ყვავილები უცხო სახლმაც.

ლამაზი ქალაქი

მახსენდება ერთი ქალაქი,
სანაპიროს გასწრივ წითელი სახურავები,

მოშორებით, ფართო მდინარე, ლურჯ ნაკადში
თეთრაფრიანი ნავი მიცურავს.

ბალახიან სანაპიროდან
ახალგაზრდა კაცი, მხატვარი
დაუინებით მისჩერებია მდინარის ჭავლებს.

ლიტერატურული გაზეთი

მე კი, არ მახსოვს, რას ვაკეთებდი?
როცა ვთიქირობ, რომ ვერ ვიხსენებ იმ წუთებს, ვხვდები,
სხვის წიგნში ვნახე ეს პეიზაჟი.

არც გავივლებდი, ყვავილი რომ ვყოფილყავი.
კარგი ბავშვი როგორლა გავხდე,
როცა ყვავილად გადაქცევაც არ შემიძლია.

კაცები

გავიხუმრე და დავმალე ორი კანფეტი, ძმისა.
განა სალოკად, ხელსაც კი არ ვახლებ, აი, ვფიცავ.
ერთზე რომ შემომეკვნიტა პატარა ლუკმა, ციცქა,
ვიდარდე, „ორი იყოო?!” — დედაჩემმა რომ მითხას?
მეორეს ხელსაც არ ვახლებ.
ვიდებ.
ვდებ.
ვიდებ ბევრჯერ...

ვყოყმანობ, მელოკნება მეორეც ყოველ ჯერზე.
ან ეს ჩემი ძმისა სად გაქარ? არ ჩანს ახლოში დედაც.
უცნაურია, რომ მხოლოდ დამალულ კანფეტს ვხედავ.
ამასობაში ნაჩიქინიც პირში ჩამედო უცებ,
ნაღვლის გემოსი ყოფილა, მნარეს რომ ჭამ და უძლებ.

მზის სხივები

მზიდან მინაზე
მოციქულები დაეშვნენ ერთხელ.
სამხრეთის ქარი შეხვდა და ჰკითხა:
— რისთვის მოსულხართ, სულებო მზისავ?
პირველი უფრო თამამი ჩანდა,
— სინათლის ფხვინილს მინაზე ვაპნევ,
ყველაფერმა რომ შეიძლოს გარჯა!
მეორებ ასე მიახარა:
— მსურს, ყველაფერი აყვავილდეს და
ბაღნარს ჰგავდეს,
რომ დედამინა ბედნიერებით აიგსოს ცამდე.
გულეკითილმა მესამებ ბრძანა:
— ვაგებ პარეში მყარ და სანდო ხიდს,
მინდა სულებმა რომ იხილონ გზები სამოთხის.
ბოლო სულს დარდი გაუკრთა ხმაში:
— დედამინაზე იმიტომ დავრჩი,
რომ ყველაფერს დავფინო ჩრდილო.

გადოსული მოსნავლე

ბაგშვი, რომელიც სხვა ადგილიდან გადმოვიდა,
კარგი ბავშვია.

რანირად დაგუმებობრდე?

შესვენებაზე ვუყურებდი,
ალუბლის ხეს
როგორ მიყყრდნო.

სხვა ადგილიდან გადმოსული
იქაურად საულორბს აქაც.
რა სიტყვები გამოდგება
ნეტავ მასთან სალაპარაკოდ?

სახლისკენ, გზაზეც,
მას ვუყურებდი,
აღმიგვაჩინე,
მეგობარი გაუჩენია.

დაშვილობრივა

ფედი, დედი, დამელოდე,
ფამრჩა კადევ რაღაც საქმე, აი, აქვე.

კვიცებს დავემშვიდობები, საჯინიბო არის ახლოს,
ყვითელგულა წინილებიც ჩავისუტო გულში, ვნახო.

დამელოდე. ტყეშიც უნდა შეერბინო, მოვალ უცებ,
მთასაც ვნახავ, შეშისმჭრელსაც.

გესმის, ცულს სცემს?

დედი, დედი, დამელოდე, გევედრები,
კიდე რაღაც დამავიწყდა, ვნახავ, დედი.

მინდორში რო წალიკა და
ცისფერთვალა ჭორტანები
ხარობს, გახსოვს?

მინდორში რო წალიკა და

ცისფერთვალა ჭორტანები
ხარობს, გახსოვს?

მინდორში რო წალიკა და

ცისფერთვალა ჭორტანები
ხარობს, გახსოვს?

დედი, დედი, დამელოდე...

ყვავლი მაინც ვყოფილყავი

კარგი ბავშვი ვიქებოდი,

ყვავილი რომ ვყოფილყავი.

ვინც არ დადის და არ ლაპარაკობს,

ბოროტებას როგორ ჩაიდენს?

თუ მეტყვიდა ვინმე — „ვერ გიტან“,

მოგვერებოდი. სიპრაზეს, რისვას

სოფელი

როგორ მინდა ფორთოხლის ხეზე
ოქროდმინფარი პანაწინა ფორთოხლები

ვიხილო, ბევრი.

ან სულ ახლა დაგამოკირტული ნაყოფით სავსე
დაუნძმდული ლელევის ხეები.

ან თავადები ხორბლის ყანისა და
მზევაბანი — ქარის ქროლვაზე,
ჩიტის ჭიკვიკი.

როგორ მინდა, გაზაფხულზე

სოფელში ვიყო,

როცა ისმის ტოროლას სტვენა,

ფორთოხლის ტევრს კი

ყავილები აყრია ბევრი.

სოფელში ყოფნა...

მარტო ფოტოებს მივჩერებარ,

რამდენი რამ არსებობს ირგვლივ,

ფოტოებზე რომ არა არასოდებიან.

გული

დედაჩემი დიდი არის,

ზრდასრულიც არის.

მისი გული კი, პატარა თურმე ძალიან.

აგიხისით, რატომ: დედა ხომ ამბობს,

რომ მის გულს ვავსებ, იქ მხოლოდ მე ვარ!

მე პატარა ვარ,

რადან ბავშვი ვარ,

მაგრამ გული დიდი მაქვს, ვიცი.

გეტყვით რატომაც:

დიდი დედითაც არ ისება ჩემი გული —

